



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2017 წლის 27 თებერვლის
 № 2319 დადგენილებით
მოდულიზებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2018 წლის 2 აპრილის
 № 01-05-04/95
 დადგენილებით

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

აგრარული ტექნოლოგიები

Agricultural Technology

ფაკულტეტი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

Faculty of Agricultural Science and Bio-system Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ნინო ლომიძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

აგრონომიის ბაკალავრი
 (Bachelor of Agronomy)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ძირითადი სპეციალობის არანაკლებ 210 კრედიტისა და თავისუფალი კომპონენტების არაუმეტეს 30 კრედიტის კომბინირებით, 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება

წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. სტუ-ს რექტორის მიერ სემესტრის დაწყებამდე გამოიცემა და ვებგვერზე ქვეყნდება აკადემიური კალენდარი.

პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი). ბაკალავრის კვალიფიკაცია მიენიჭება ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 210 კრედიტის) და თავისუფალი კომპონენტების (არანაკლებ 30 კრედიტის) კომბინირებით, ჯამში არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობა (210 კრედიტი) მოიცავს:

ა) უცხოური ენის კომპონენტს - 15 კრედიტი. სწავლის დასაწყისში სტუდენტს აქვს უფლება ოთხი უცხოური ენიდან (ინგლისური, რუსული, გერმანიული, ფრანგული) აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი და პირველი სამი სემესტრის განმავლობაში გაიაროს 5-5-5 კრედიტის მოცულობით;

ბ) არჩევით ჰუმანიტარულ სასწავლო კურსს - 5 კრედიტი. (ფილოსოფიის შესავალი, საქართველოს ისტორია და კულტურა, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, გამოყენებითი ფსიქოლოგია, აკადემიური წერა, კულტურა და თანამედროვეობა);

გ) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 160 კრედიტი;

დ) სპეციალობის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებს - სტუდენტი მათგან ირჩევს საგანთა გარკვეულ რაოდენობას, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს არანაკლებ 30 კრედიტს;

ძირითადი სპეციალობის ათვისების შემდეგ, სტუდენტი თავისუფალი კომპონენტებიდან (თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებიდან) ირჩევს საგანთა გარკვეულ რაოდენობას, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს არანაკლებ 30 კრედიტს.

პირველ სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ხუთი სასწავლო კურსი და უცხოური ენა - 5 კრედიტი. ჯამში 28 კრედიტი.

მეორე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ხუთი სასწავლო კურსი, უცხოური ენა - 5 კრედიტი და არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსი - 5 კრედიტი, ჯამში 32 კრედიტი.

მესამე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ხუთი სასწავლო კურსი და უცხოური ენა - 5 კრედიტი. ჯამში 30 კრედიტი;

მეოთხე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ექვსი სასწავლო კურსი - ჯამში 30 კრედიტი;

მეხუთე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ექვსი სასწავლო კურსი - ჯამში 32 კრედიტი;

მეექვსე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ხუთი სასწავლო კურსი - ჯამში 28 კრედიტი;

მეშვიდე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები. რომელიც ჯამში მოიცავს 20 საგანს. სტუდენტი მათგან ირჩევს საგანთა საჭირო რაოდენობას.

მერვე სემესტრში - გათვალისწინებულია თავისუფალი კომპონენტები (თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები.) სტუდენტი მათგან ირჩევს საგანთა საჭირო რაოდენობას.

დეტალური ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ მოცემულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/dadg_2691_18_SD.PDF

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს აგრარული ტექნოლოგიის დარგის ბაკალავრი, რომელსაც ექნება აღნიშნული დარგის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა. შეეძლება სოფლის მეურნეობაში მიღწევების და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და სოფლად სიღარიბის დაძლევას, რაც ქვეყნის სტრატეგიულ ხედვას წარმოადგენს.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება – აგრარული ტექნოლოგიების ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას; ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების ცოდნას; ბიოლოგიის ფუნდამენტური, ძირითადი პრინციპების ცოდნას; მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური პროცესების ცოდნას; ნიადაგის ტიპების, სტრუქტურის, დამუშავების ხერხების, ნაყოფიერების და მისი ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების პრინციპების ცოდნას; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებების და სარეველების გავრცელების პროგნოზირებასა და მათი მოქმედების წინააღმდეგ ინტეგრირებული ბრძოლის ღონისძიებების ცოდნას; დარგში გამოყენებულ აპარატების, მანქანა-დანადგარების მოქმედების პრინციპების, ტექნიკური და ტექნოლოგიური თავისებურებების ცოდნას; აგრონომიაში კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – აგრარული წარმოებისათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად: ნაკვეთისა და კულტურის შერჩევას, აგრარული წარმოების საკვები სავარგულების ზედაპირულ და ძირეულ გაუმჯობესებასა და რაციონალური გამოყენების, დადგენილი აგროტექნიკური ღონისძიებების ოპტიმალურ კალენდარულ აგროვადებში ჩატარებას; თესლბრუნვების სისტემის შედგენის, ნიადაგის დამუშავების, თესვისა და რგვის სამუშაოების ჩატარების, მინდორში და ბაღში ნიადაგის დამუშავების, განოყიერების, მელიორაციის, მოვლა-მოყვანის აგროტექნიკის, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების, მოსავლის აღების და აღების შემდგომი დამუშავების და დაფასოების ორგანიზების, მანქანა-დანადგარების მოქმედების პრინციპების, ტექნიკური და ტექნოლოგიური თავისებურებების უსაფრთხო ექსპლუატაციის, ტექნოლოგიური პარამეტრების დაცვის უნარი. კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

დასკვნის უნარი – შეეძლება, აგრარული ტექნოლოგიისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზის, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; შეეძლება, ტექნოლოგიის ცალკეული სტადიების ოპტიმალური შეფასება, რეაგირება, ხარისხობრივი და რენტაბელური მაჩვენებლებიდან გამომდინარე პრობლემის იდენტიფიცირება, ფორმულირება და შესაბამისი დასკვნის გაკეთება. შესაბამის ტერმინოლოგიაზე დაყრდნობით სპეციალობის საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება. არსებული ლიტერატურიდან და ელექტრონული წყაროებიდან ექსპერიმენტული მონაცემებისა და ინფორმაციის მოძიების უნარი და ამის საფუძველზე ადეკვატური და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა;

კომუნიკაციის უნარი – შეძლებს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემას თანამედროვე საინფორმაციო და

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;

სწავლის უნარი – შეძლებს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას; თავისი შესაძლებლობების შეფასებას, დროის მაქსიმალურად და ეფექტურად გადანაწილებას.

ღირებულებები – აგრარულ სფეროში ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა, ყველა სახის პროფესიულ საქმიანობაში, კოლეგებთან თანამშრომლობით პროფესიასთან დაკავშირებული ფასეულობების, ეთიკური პასუხისმგებლობებისა და ღირებულებების დამკვიდრება.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა
სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

(დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

6. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა 2

მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;

დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;

- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო

საშუალების გამოვლენა.

7. როლური და სიტუაციური თამაშები – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

8. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

9. ინდუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

10. დედუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

11. ანალიზის მეთოდი – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

12. სინთეზის მეთოდი – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

13. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

14. წერითი მუშაობის მეთოდი – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

15. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

16. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

17. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

- აგრარულ მეურნეობები;
- სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტაციაში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 79

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი						
			I წელი			II წელი			
			სემესტრი						
			I	II	III	IV	V	VI	
1	მათემატიკის საფუძვლები	არ გააჩნია	5						
2	ზოგადი ქიმია	არ გააჩნია	4						
3	ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში	არ გააჩნია	4						
4	ზოგადი ბიოლოგია	არ გააჩნია	6						
5	ზოოლოგია	არ გააჩნია	4						
6	უცხოური ენა I - (არჩევითი სასწავლო კურსები)								
6.1	უცხოური ენა (ინგლისური) –	არ გააჩნია	5						

6.2	უცხოური ენა (ფრანგული) – 1T	ერთიანი ეროვნული გამოცდა (ფრანგული ენა)							
6.3	უცხოური ენა (გერმანული) – 1 T	ერთიანი ეროვნული გამოცდა (გერმანული ენა)							
6.4	უცხოური ენა (რუსული) – 1 T	ერთიანი ეროვნული გამოცდა (რუსული ენა)							
7	ფიზიკა	არ გააჩნია		4					
8	ბოტანიკა	არ გააჩნია		5					
9	ნიადაგმცოდნეობა	ზოგადი ქიმია		5					
10	არორგანული ქიმია	ზოგადი ქიმია		4					
11	შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა	არ გააჩნია		4					
12	არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსები:								
12.1	ფილოსოფიის შესავალი	არ გააჩნია		5					
12.2	საქართველოს ისტორია და კულტურა								
12.3	სოციოლოგია								
12.4	პოლიტოლოგია								
12.5	გამოყენებითი ფსიქოლოგია								
12.6	აკადემიური წერა								
12.7	კულტურა და თანამედროვეობა								
13	უცხოური ენა II - (არჩევითი სასწავლო კურსები)								
13.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B1		5					
13.2	უცხოური ენა (ფრანგული) – 2T	უცხოური ენა (ფრანგული) 1T							
13.3	უცხოური ენა (გერმანული) – 2T	უცხოური ენა (გერმანული) 1T							
13.4	უცხოური ენა (რუსული) – 2 T	უცხოური ენა (რუსული) – 1T							
14	ეკოლოგიის საფუძვლები	არ გააჩნია		5					
15	ორგანული ქიმია	არაორგანული ქიმია		5					
16	ენტომოლოგია	ბოტანიკა, ზოოლოგია		5					

17	ფიტოპათოლოგია	ბოტანიკა, ზოოლოგია			5			
18	მიკრობიოლოგია	ზოგადი ბიოლოგია, ბოტანიკა			5			
19	უცხოური ენა III - (არჩევითი სასწავლო კურსები)							
19.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.2	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1			5			
19.2	უცხოური ენა (ფრანგული) – 3T	უცხოური ენა (ფრანგული) – 2 T						
19.3	უცხოური ენა (გერმანული) – 3T	უცხოური ენა (გერმანული) 2T						
19.4	უცხოური ენა (რუსული) – 3T	უცხოური ენა (რუსული) – 2T						
20	ზოგადი მიწათმოქმედება	ნიადაგმცოდნეობა				5		
21	აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია	ბოტანიკა, ფიზიკა				5		
22	მცენარეთა ფიზიოლოგია	ბოტანიკა				5		
23	აგროქიმია	არაორგანული ქიმია, ბოტანიკა, ეკოლოგიის საფუძვლები, ნიადაგმცოდნეობა				5		
24	მცენარეთა დაცვის საფუძვლები	ენტომოლოგია, ფიტოპათოლოგია, მიკრობიოლოგია				5		
25	მცენარეთა ბიოქიმია	ორგანული ქიმია				5		
26	მცენარეთა გენეტიკა და სელექცია	ბოტანიკა					5	
27	მემცენარეობა	ზოგადი ბიოლოგია, აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია					6	
28	მეზოსტნეობა	აგროქიმია, მცენარეთა ფიზიოლოგია, მცენარეთა დაცვის საფუძვლები, აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია					5	
29	მინდვრად საკვებწარმოება	ბოტანიკა, ზოგადი მიწათმოქმედება					5	

30	აგროდაზღვევის საფუძვლები	მათემატიკის საფუძვლები						6	
31	ეკონომიკის პრინციპები	არ გააჩნია						5	
32	მევენახეობა	აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია, ნიადაგმცოდნეობა						6	
33	მეხილეობა	აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია, აგროქიმიკა, ზოგადი მიწათმოქმედება, მცენარეთა დაცვის საფუძვლები						6	
34	წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში	ფიზიკა, ნიადაგმცოდნეობა, ეკოლოგიის საფუძვლები						5	
35	გეოინფორმაციული სისტემები აგრონომიაში	მათემატიკის საფუძვლები, ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში						6	
36	სასოფლო-სამეურნეო მანქანები	მინდვრად საკვებწარმოება, მემცენარეობა, მებოსტნეობა						5	
სემესტრში			28	32	30	30	32	28	
წელიწადში			60	60	60	60	60	60	
სულ			180						

სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კომპონენტები (სასწავლო კურსები)

სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები (არანაკლებ 30 კრედიტი)			
დაშვების წინაპირობა: სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები			
№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი
37.	აგრობიოტექნოლოგია	არაორგანული ქიმია, მცენარეთა ბიოქიმია, მიკრობიოლოგია	6
38.	აგრარული მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა	აგროქიმიკა, ნიადაგმცოდნეობა	5
39.	ხილ-ბოსტნეულის პირველადი	აგროქიმიკა, ბოტანიკა,	5

	დამუშავება და შენახვა	მცენარეთა ფიზიოლოგია. მცენარეთა დაცვის საფუძვლები.	
40.	სურსათის უვნებლობა და ხარისხი	მცენარეთა ბიოქიმია, მიკრობიოლოგია	6
41.	სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობა	მემცენარეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა	5
42.	ტექნიკური კულტურები	აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია	5
43.	აგროეკოლოგიის ძირითადი საფუძვლები	ეკოლოგიის საფუძვლები	6
44.	საკარანტინო მავნებლები	ბოტანიკა, ზოოლოგია, ეკოლოგიის საფუძვლები, ენტომოლოგია.	5
45.	სასათბურე მეურნეობის ექსპლუატაცია და მართვა	აგროქიმია, მცენარეთა ფიზიოლოგია, მცენარეთა დაცვის საფუძვლები	5
46.	ჯიშთმცოდნეობა	აგროქიმია, მცენარეთა ფიზიოლოგია, მცენარეთა დაცვის საფუძვლები	5
47.	ზოგადი მეცხოველეობა	ზოოლოგია	5
48.	მიწათმოწყობა	ფიზიკა, გეოინფორმაციული სისტემები აგრონომიაში	5
49.	აგრარული წარმოების ელექტრიფიკაცია	ფიზიკა	5
50.	აგროსატყეო მელიორაცია	ზოგადი მიწათმოქმედება, წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში	4
51.	სარეველა, შხამიანი და მავნე მცენარეები	ზოგადი ბიოლოგია, ფიზიკა, არაორგანული ქიმია	4
52.	კულტურულ მცენარეთა სელექციის საფუძვლები	ბოტანიკა	5
53.	მდელოსნობა	ზოგადი ბიოლოგია, ეკოლოგიის საფუძვლები, ბოტანიკა	5
54.	კონსერვაციული ბიოლოგია	ზოგადი ბიოლოგია, ეკოლოგიის საფუძვლები	5
55.	აგრომეტყვეობა	ეკოლოგიის საფუძვლები, ნიადაგმცოდნეობა, მემცენარეობა	5
56.	მათემატიკური ანალიზის ელემენტები	არ გააჩნია	5

თავისუფალი კომპონენტები (სასწავლო კურსები)

თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები			
№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი
57.	კრიტიკული აზროვნების ელემენტები	არ გააჩნია	5
58.	მეფუტკრეობა		
59.	ეგზოტიკური ფრინველები და ცხოველები		
60.	საქართველოს მომთაბარე მეცხოველეობა		
61.	რელიგიების ისტორია		
62.	ფიზიკის ისტორია		
63.	დემოკრატია და მოქალაქეობა		
64.	საჯარო გამოსვლის ტექნიკა		

სწავლის შედეგების რუკა

	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	მათემატიკის საფუძვლები	+				+	
2.	ზოგადი ქიმია	+	+		+	+	
3.	ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში	+	+	+		+	
4.	ზოგადი ბიოლოგია	+		+	+	+	+
5.	ზოოლოგია	+	+	+			
6.	უცხოური ენა I - (არჩევითი სასწავლო კურსები)						
6.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B1	+	+		+	+	
6.2	უცხოური ენა (ფრანგული) – 1T	+	+		+	+	
6.3	უცხოური ენა (გერმანული) – 1 T	+	+		+	+	
6.4	უცხოური ენა (რუსული) – 1 T	+	+		+	+	
7.	ფიზიკა		+	+		+	
8.	ბოტანიკა	+	+	+	+		+
9.	ნიადაგმცოდნეობა	+	+	+			
10.	არორგანული ქიმია	+	+		+	+	
11.	შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა	+	+	+			
12.	არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსები:						
12.1	ფილოსოფიის შესავალი	+	+		+	+	+

12.2	საქართველოს ისტორია და კულტურა	+	+	+	+		
12.3	სოციოლოგია	+	+	+	+	+	+
12.4	პოლიტოლოგია	+	+	+	+	+	+
12.5	გამოყენებითი ფსიქოლოგია	+	+		+	+	+
12.6	აკადემიური წერა	+	+	+	+	+	
12.7	კულტურა და თანამედროვეობა	+			+		+
13.	უცხოური ენა II- (არჩევითი სასწავლო კურსები)						
13.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1	+	+		+	+	
13.2	უცხოური ენა (ფრანგული) – 2T	+	+		+	+	
13.3	უცხოური ენა (გერმანული) – 2T	+	+		+	+	
13.4	უცხოური ენა (რუსული) – 2 T	+	+		+	+	
14.	ეკოლოგიის საფუძვლები	+		+	+		+
15.	ორგანული ქიმია	+	+		+	+	
16.	ენტომოლოგია	+	+	+	+	+	
17.	ფიტოპათოლოგია	+	+	+		+	+
18.	მიკრობიოლოგია	+	+	+	+		
19.	უცხოური ენა III - (არჩევითი სასწავლო კურსები)						
19.1	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.2	+	+		+	+	
19.2	უცხოური ენა (ფრანგული) – 3T	+	+		+	+	
19.3	უცხოური ენა (გერმანული) – 3T	+	+		+	+	
19.4	უცხოური ენა (რუსული) – 3T	+	+		+	+	
20.	ზოგადი მიწათმოქმედება	+	+	+			
21.	აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია	+	+	+			+
22.	მცენარეთა ფიზიოლოგია	+	+	+	+		+
23.	აგროქიმია	+	+	+			
24.	მცენარეთა დაცვის საფუძვლები	+	+	+	+		
25.	მცენარეთა ბიოქიმია	+	+		+	+	
26.	მცენარეთა გენეტიკა და სელექცია	+	+	+	+		+
27.	მემცენარეობა	+	+			+	
28.	მებოსტნეობა	+		+	+		+
29.	მინდვრად საკვებწარმოება	+		+	+		+
30.	აგროდაზღვევის საფუძვლები	+		+	+		+
31.	ეკონომიკის პრინციპები	+	+	+	+	+	+
32.	მევენახეობა	+		+	+		+
33.	მეხილეობა	+	+	+		+	
34.	წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში	+	+	+		+	
35.	გეოინფორმაციული სისტემები აგრონომიაში	+	+	+		+	
36.	სასოფლო-სამეურნეო მანქანები	+	+	+			
37.	აგრობიოტექნოლოგია	+	+	+		+	
38.	აგრარული მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა	+	+			+	
39.	ხილ-ბოსტნეულის პირველადი დამუშავება და შენახვა	+		+	+		+
40.	სურსათის უვნებლობა და ხარისხი	+	+	+			

41.	სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობა	+	+			+	
42.	ტექნიკური კულტურები	+	+			+	
43.	აგროეკოლოგიის ძირითადი საფუძვლები	+	+	+			+
44.	საკარანტინო მავნებლები	+	+	+	+	+	+
45.	სასათბურე მეურნეობის ექპლუატაცია და მართვა	+		+	+		+
46.	ჯიშთმცოდნეობა	+		+	+		+
47.	ზოგადი მეცხოველეობა	+	+	+	+	+	+
48.	მიწათმოწყობა	+	+	+	+	+	+
49.	აგრარული წარმოების ელექტრიფიკაცია	+	+			+	
50.	აგროსატყეო მელიორაცია	+	+	+		+	+
51.	სარეველა შხამიანი და მავნე მცენარეები	+		+	+		+
52.	კულტურულ მცენარეთა სელექციის საფუძვლები	+	+	+	+		+
53.	მდელოსნობა	+	+	+	+	+	+
54.	კონსერვაციული ბიოლოგია	+	+	+	+	+	+
55.	აგრომეტეყეობა	+	+	+		+	
56.	მათემატიკური ანალიზის ელემენტები	+	+			+	
57.	კრიტიკული აზროვნების ელემენტები	+	+	+	+		
58.	მეფუტკრეობა	+	+			+	
59.	ეგზოტიკური ფრინველები და ცხოველები	+	+	+			
60.	საქართველოს მომთაბარე მეცხოველეობა	+	+	+			
61.	რელიგიების ისტორია	+	+	+	+	+	+
62.	ფიზიკის ისტორია	+	+	+	+		
63.	დემოკრატია და მოქალაქეობა	+	+	+			+
64.	საჯარო გამოსვლის ტექნიკა	+	+		+		+

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	MAS32908G1-LP	მათემატიკის საფუძვლები	5/125	15		30					1	2	77
2	PHS82110G1-LP	ზოგადი ქიმია	4/100	15		15					1	1	68
3	ICT54808G1-LB	ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში	4/100	15			15				1	1	68
4	BRS13610G1-LS	ზოგადი ბიოლოგია	6/150	30	30						1	1	88
5	BRS13710G1-LP	ზოოლოგია	4/100	15		15					1	1	68
6	უცხო ენა I – (არჩევითი სასწავლო კურსები)												
6.1	LEH12310G3-P	უცხოური ენა (ინგლისური) – B1	5/125			45					1	1	78
6.2	LEH12410G3-P	უცხოური ენა (ფრანგული) – 1T	5/125			45					1	1	78
6.3	LEH12510G3-P	უცხოური ენა (გერმანული) – 1 T	5/125			45					1	1	78
6.4	LEH12610G3-P	უცხოური ენა (რუსული) – 1 T	5/125			45					1	1	78
7	PHS55310G1-LB	ფიზიკა	4/100	15			15				1	1	68
8	BRS13810G1-LS	ბოტანიკა	5/125	15	30						1	1	78
9	ENV12310G1-LB	ნიადაგმცოდნეობა	5/125	15			30				1	1	78
10	PHS82210G1-LP	არაორგანული ქიმია	4/100	15		15					1	1	68
11	HHS28010G1-LB	შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა	4/100	15			15				1	1	68

12	არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსები											
12.1	HEL30512G1-LS	ფილოსოფიის შესავალი	5/125	15	30					2	2	76
12.2	HEL20312G1-LS	საქართველოს ისტორია და კულტურა	5/125	15	30					1	1	78
12.3	SOS40212G1-LS	სოციოლოგია	5/125	15	30					1	1	78
12.4	SOS20213G1-LS	პოლიტოლოგია	5/125	15	30					2	2	76
12.5	SOS30112G1-LS	გამოყენებითი ფსიქოლოგია	5/125	15	30					1	1	78
12.6		აკადემიური წერა	5/125	15	30					2	2	76
12.7	SOS40513G1-LS	კულტურა და თანამედროვეობა	5/125	15	30					2	2	76
13	უცხოური ენა II - (არჩევითი სასწავლო კურსები)											
13.1	LEH12710G3-P	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1	5/125			45				1	1	78
13.2	LEH12810G3-P	უცხოური ენა (ფრანგული) – 2T	5/125			45				1	1	78
13.3	LEH12910G3-P	უცხოური ენა (გერმანული) – 2T	5/125			45				1	1	78
13.4	LEH13010G3-P	უცხოური ენა (რუსული) – 2 T	5/125			45				1	1	78
14	ENV12410G1-LS	ეკოლოგიის საფუძვლები	5/125	15	30					1	1	78
15	PHS82310G1-LSB	ორგანული ქიმია	5/125	15	15		15			1	1	78
16	BRS13910G1-LP	ენტომოლოგია	5/125	15		30				1	1	78
17	BRS14010G1-LB	ფიტოპათოლოგია	5/125	30			15			1	1	78
18	BRS14110G1-LB	მიკრობიოლოგია	5/125	15			30			1	1	78
19	უცხოური ენა III - (არჩევითი სასწავლო კურსები)											
19.1	LEH13110G3-P	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.2	5/125			45				1	1	78
19.2	LEH13210G3-P	უცხოური ენა (ფრანგული) – 3T	5/125			45				1	1	78
19.3	LEH13310G3-P	უცხოური ენა (გერმანული) – 3T	5/125			45				1	1	78
19.4	LEH13410G3-P	უცხოური ენა (რუსული) – 3T	5/125			45				1	1	78
20	AGC20510G1-LP	ზოგადი მიწათმოქმედება	5/125	15		30				1	1	78
21	ENV12510G1-LP	აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია	5/125	15		30				1	1	78
22	BRS14210G1-LS	მცენარეთა ფიზიოლოგია	5/125	15	30					1	1	78
23	EET28410G1-LB	აგროქიმია	5/125	15			30			1	1	78
24	EET28510G1-LP	მცენარეთა დაცვის საფუძვლები	5/125	15		30				1	1	78
25	BRS22010G1-LPB	მცენარეთა ბიოქიმია	5/125	15		15	15			1	1	78
26	BRS16110G1-LS	მცენარეთა გენეტიკა და სელექცია	5/125	15	30					1	1	78
27	AGC16710G1-LP	მემცენარეობა	6/150	30		30				1	1	88
28	AGC16810G1-LS	მეზოსტნეობა	5/125	15	30					1	1	78
29	MAP18010G1-LP	მინდვრად საკვებწარმოება	5/125	15		30				1	1	78
30	BUA76810G1-LS	აგროდაზღვევის	6/150	30	30					1	1	88

		საფუძვლები										
31	SOS10912G1-LS	ეკონომიკის პრინციპები	5/125	15	30					1	1	78
32	AGC20610G1-LP	მევენახეობა	6/150	30		30				1	1	88
33	AGC20710G1-LP	მეხილეობა	6/150	30		30				1	1	88
34	ENV12610G1-LPB	წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში	5/125	15	15		15			1	1	78
35	ICT24110G1-LP	გეოინფორმაციული სისტემები აგრონომიაში	6/150	30		30				1	1	88
36	EET97210G1-LPR	სასოფლო სამეურნეო მანქანები	5/125	15		15		15		1	1	78
37	EET30110G2-LP	აგრობიოტექნოლოგია	6/150	30		30				1	1	88
38	EET28610G1-LP	აგრარული მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა	5/125	15		30				1	1	78
39	MAP18110G1-LS	ხილ-ბოსტნეულის პირველადი დამუშავება და შენახვა	5/125	15	30					1	1	78
40	HHS10310G1-LS	სურსათის უვნებლობა და ხარისხი	6/150	15	45					1	1	88
41	AGC20810G1-LP	სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობა	5/125	15		30				1	1	78
42	AGC16910G1-LP	ტექნიკური კულტურები	5/125	30		15				1	1	78
43	ENV12710G1-LP	აგროეკოლოგიის ძირითადი საფუძვლები	6/150	30		30				1	1	88
44	BRS14310G1-LP	საკარანტინო მავნებლები	5/125	15		30				1	1	78
45	AGC17010G1-LS	სასათბურე მეურნეობის ექსპლუატაცია და მართვა	5/125	15	30					1	1	78
46	AGC20910G1-LS	ჯიშთმცოდნეობა	5/125	15	30					1	1	78
47	AGC17110G1-LS	ზოგადი მეცხოველეობა	5/125	15	30					1	1	78
48	PHS40510G1-LP	მიწათმოწყობა	5/125	15		30				1	1	78
49	EET40410G1-LP	აგრარული წარმოების ელექტრიფიკაცია	5/125	30		15				1	1	78
50	FOR14010G1-LP	აგროსატყეო მელიორაცია	4/100	15		15				1	1	68
51	BRS14410G1-LP	სარეველა, შხამიანი და მავნე მცენარეები	4/100	15		15				1	1	68
52	EET30210G2-LS	კულტურულ მცენარეთა სელექციის საფუძვლები	5/125	15	30					1	1	78
53	AGC17210G1-LP	მდელოსნობა	5/125	15		30				1	1	78
54	ENV12810G1-LP	კონსერვაციული ბიოლოგია	5/125	15		30				1	1	78
55	FOR14110G1-LP	აგრომექცევეობა	5/125	15		30				1	1	78
56	MAS33308G1-LP	მათემატიკური ანალიზის ელემენტები	5/125	15		30				1	2	77
57	SOS30812G1-LS	კრიტიკული აზროვნების ელემენტები	5/125	15	30					1	1	78
58	AGC14910G1-LP	მეფუტკრეობა	5/125	15		30				1	1	78
59	AGC13610G1-LP	ეგზოტიკური ფრინველები და ცხოველები	5/125	15		30				1	1	78

60	AGC13810G1-LS	საქართველოს მომთაბარე მეცხოველეობა	5/125	15	30					1	1	78
61	HEL10112G1-LS	რელიგიების ისტორია	5/125	15	30					1	1	78
62	PHS65408G1-LS	ფიზიკის ისტორია	5/125	15	30					1	2	77
63	SOS20413G1-LS	დემოკრატია და მოქალაქეობა	5/125	15	30					2	2	76
64	BUA74913G1-LS	საჯარო გამოსვლის ტექნიკა	5/125	15	30					1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი

ნინო ლომიძე

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.

ვახტანგ უგრეხელიძე

ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ქვარცხავა

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

დამტკიცებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

06.10. 2016 წელი, ოქმი № 9

მოდირიცირებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 27.02.2018 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქვარცხავა